

ადგილობრივი საინოვაციო გამოცდილება საქართველოში. პლაჟის წარმოქმნის და სანაპირო დაცვის საინჟინრო ასპექტები

ამირან ბრეგვაძე

*ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვაო-სატრანსპორტო
ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი*

1. შესავალი

მრავალწლიანი დაკვირვებების ანალიზმა აჩვენა, რომ ზღვის სანაპირო ზოლი, მოქმედი ბუნებრივი პროცესების პროგნოზირებისა და შესწავლის თვალსაზრისით, შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რთული დინამიკური სისტემა, რომელიც ძალიან მგრძობიარეა გარე ზემოქმედების მიმართ. კერძოდ, უკანასკნელ წლებში ზღვამ კატასტროფულად წარეცხა გრიგოლეთის და ფოთის სანაპირო ზოლი და, მიუხედავად სპონტანურად გატარებული მრავალი საინჟინრო ღონისძიებისა, მნიშვნელოვანი ეროზია გამოიწვია. თანამედროვე პირობებში სულ უფრო მკაფიოდ დგება ნაპირების ტალღების დამანგრეველი მოქმედებისაგან დაცვის პრობლემა. აღსანიშნავია, რომ ზღვის სანაპირო ზოლში მიმდინარე პროცესების შესწავლა მხოლოდ ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე სასურველ შედეგს ვერ იძლევა, რადგან ასეთი კვლევები, როგორც წესი, ძვირადღირებულია და მათ საფუძველზე საკვლევი ობიექტის სრული სურათის მიღება დროსა და სივრცეში პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამიტომ ამოცანის გადაწყვეტის მთავარი ინსტრუმენტი უნდა გახდეს მათემატიკური მოდელირების საფუძველზე შექმნილი ზღვის ჰიდროდინამიკური რიცხვითი მოდელები. სანაპირო პროცესების მართვა მიმართული უნდა იყოს ჩამორეცხილი პლაჟის აღდგენისკენ და არსებული პლაჟების აუცილებელ ზომამდე გაფართოებისკენ, რადგან პლაჟი – არის სანაპიროს დაცვის ძირითადი ელემენტი.

ბოლო დროს საინჟინრო აზროვნება სულ უფრო მეტად ხდება ბუნებაზე ორიენტირებული, რის გამოც ახალი ტექნოლოგიები წარმოგვიდგება როგორც გარემოს დაცვის ეფექტური საშუალება. ერთ-ერთი მათგანია ACE Tube - ტექნოლოგია, რომელიც, ამჟამად, ხშირად გამოიყენება ზღვის სანაპირო ზოლის აღდგენა-გამაგრების პრობლემის გადაწყვეტაში. ACE Tube - არის მაღალი სიმტკიცის სინთეზური ქსოვილისაგან (პოლიპროპილენი ან პოლიესტერი) დამზადებული, სხვადასხვა ფორმისა და გაბარიტების კონტინერი/ტომარა, რომელიც ქვიშით ივსება და ზღვის ფსკერზე განლაგდება. ACE Tube მასალის დრეკადობა

უზრუნველყოფს სხვადასხვა ფორმისა და შედგენილობის ფსკერის რელიეფთან მის ადაპტირებას. ქვიშით ამოვსებული ACE Tube ეფექტურად გამოიყენება ჰიდროინჟინერიაში.

მაგალითად, ეს ტექნოლოგია წარმატებით გამოიყენება გაერთიანებულ არაბთა ემირატებში (Le MeridienAqah Beach)¹. ამ ტექნოლოგიის გამოყენების მიზანი იყო ტალღის ენერჯის ჩახშობა და იმავდროულად პლაჟის აღდგენა. 2007 წლამდე სანაპირო ზოლის დასაცავდ გამოიყენებოდა ღორღის ტალღამჭრელი, მაგრამ 2007 წელს ქარიშხალი (Gonu Hurricane) გახდა ძლიერი ეროზიის მიზეზი, რომელმაც გაანადგურა სანაპირო ზოლი. მწვავედ დადგა სანაპირო ზოლის დამცავი კონსტრუქციების ცვლილების საკითხი. ტალღის სიმაღლის შემცირებით მიღწეულმა ეფექტმა მნიშვნელოვნად შეამცირა ტალღების დამლუპველი ზემოქმედება ნაპირზე, ასევე ეროზიით გამოწვეული ბუნებრივი კატაკლიზმების ალბათობა. გარდა ამისა, კონსტრუქციის აგების შემდეგ ტუბის ზედაპირი დაიფარა წყალმცენარეებით, რითაც ზღვის ეკოსისტემისათვის დადებითი ეფექტი შეიქმნა. ACE Tube ტექნოლოგიის გამოყენებით მოხდა სანაპირო ზოლისა და მილსადენის საყრდენის დაცვა. მეორე მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ნავთობკომპანია PEMEX, რომელმაც ACE Tube-ს ტექნოლოგია გამოიყენება პლაჟის ეროზიის პრობლემის კომპლექსური გადაწყვეტის საშუალებად დოს ბოკასში (ტაბასკო, მექსიკა) განლაგებულ ობიექტებზე². ნავთობსადენის დაცვის პროექტისათვის შემუშავდა სხვადასხვა ზომის გეოტუბები, რომელიც გამოიყენებოდა ნავთობსადენის საყრდენად. 1,9 კმ სიგრძის სანაპიროზე განლაგდა ACE Tube-ის 7.8 მ დიამეტრის გეოტუბები. ამ გზით აღდგენილმა 62 000 კვ.მ. ფართობის პლაჟმა გაამყარა სანაპირო ზოლი და ნავთობსადენის საყრდენი. დაყენებულმა წყალქვეშა ტალღამჭრელებმა ასევე შესაძლებელი გახადა შეემცირებინა მოქცევის ტალღის ენერჯია და მინიმუმამდე დაეყვანა ქვიშის დანაკარგები.

წინამდებარე სტატიაში ნაჩვენებია, რომ ზღვის სანაპირო პროცესების მათემატიკური მოდელირების საფუძველზე შესაძლებელია ACE Tube ტექნოლოგიის მეცნიერულად დასაბუთებული გამოყენება ზღვის სანაპირო ზოლის დაცვა-აღდგენისათვის. 2012 წლის ივლისში გრიგოლეთში კერძო კომპანიის „Villa ReTa&SPA“ მიმდებარე ტერიტორიაზე კი ამ სტატიის ავტორის მიერ განხორციელდა ექსპერიმენტი, აგვისტოს შუა რიცხვებში მივიღეთ პირველი შედეგი. ჩატარებული საინჟინრო ღონისძიებების მაგალითზე ნაჩვენებია, რომ ACE

¹ Jack Fowler, Ph.D., PE, Thomas C. Stephens, Mario Santiago and Pieter de Bruin. Amwaj Islands Constructed with GEO Tubes, Bahrain. <http://www.geotec.biz/publications/Amwaj%20Islands%20Constucted%20with%20Geotubes.pdf>.

² Felix Tseng, Zoe Lin, Alfonso Solis, and Marco Sánchez (2011) Geotextile Tube Solution for Dos Bocas PEMEX Marine Facilities Beach Erosion Problem in Tabasco, Mexico. Coastal Engineering Practice (2011): pp. 640-649. <http://ascelibrary.org/doi/abs/10.1061/41190%28422%2953>.

Tube ტექნოლოგიის საფუძველზე საინჟინრო ღონისძიებების დასახვა და გატარება სანაპირო ზოლის აღდგენისთვის, უაღრესად ეფექტურია.

2. პლაჟის დინამიკის რიცხვითი მოდელირება

პლაჟის დინამიკის რიცხვითი ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა^{3,4,5,6} შრომებში გამოყენებული მოდელები და ალგორითმები. მათემატიკური მოდელი წარმოდგენილია სათანადო საწყისი და სასაზღვრო პირობებით აღჭურვილი შემდეგი განტოლებების ერთობლიობით:

$$\frac{\partial N}{\partial t} + \frac{\partial(c_x N)}{\partial x} + \frac{\partial(c_y N)}{\partial y} + \frac{\partial(c_\sigma N)}{\partial \sigma} + \frac{\partial(c_\theta N)}{\partial \theta} = \frac{S}{\sigma}$$

$$N(\sigma, \theta, x, y, t) = E(\sigma, \theta, x, y, t) / \sigma$$

$$\frac{\partial(h+\eta)}{\partial t} + \frac{\partial q_x}{\partial x} + \frac{\partial q_y}{\partial y} = 0$$

$$\frac{\partial q_x}{\partial t} + \frac{\partial u q_x}{\partial x} + \frac{\partial v q_x}{\partial y} + g(h+\eta) \frac{\partial \eta}{\partial x} = \frac{\partial}{\partial x} D_x \frac{\partial q_x}{\partial x} + \frac{\partial}{\partial y} D_y \frac{\partial q_x}{\partial y} + f q_y - \tau_{bx} + \tau_{sx}$$

$$\frac{\partial q_y}{\partial t} + \frac{\partial u q_y}{\partial x} + \frac{\partial v q_y}{\partial y} + g(h+\eta) \frac{\partial \eta}{\partial y} = \frac{\partial}{\partial x} D_x \frac{\partial q_y}{\partial x} + \frac{\partial}{\partial y} D_y \frac{\partial q_y}{\partial y} - f q_x - \tau_{by} + \tau_{sy}$$

$$\frac{\partial(\bar{C}d)}{\partial t} + \frac{\partial(\bar{C}q_x)}{\partial x} + \frac{\partial(\bar{C}q_y)}{\partial y} = \frac{\partial}{\partial x} \left(K_x d \frac{\partial \bar{C}}{\partial x} \right) + \frac{\partial}{\partial y} \left(K_y d \frac{\partial \bar{C}}{\partial y} \right) + P - D$$

$$\frac{\partial h}{\partial t} = \frac{1}{1-n_p} \left(\frac{\partial q_{tot,x}}{\partial x} + \frac{\partial q_{tot,y}}{\partial y} \right)$$

სადაც t – დროა, x და y - ჰორიზონტალური კოორდინატები, E - ენერგია, σ - შედარებითი სიხშირე, θ - ტალღის გავრცელების მიმართულება, N - ტალღის ქმედების სიმკვრივე, c_x, c_y და c_σ, c_θ , ტალღის ნაკადის ჯგუფური სიჩქარის კომპონენტები - (X, Y) და (σ, θ)

³ Chan, E.S. and Sanniraj, S.A. Application of Ocean Wave Prediction Model to China Sea., The 6th OMISAR Workshop on Ocean Models, Beijing, China, 2012.


⁴ Nam, P.T., Larson, M., 2010. Model of nearshore waves and wave-induced currents around a detached breakwater. *Journal of Waterway, Port, Coastal, and Ocean Engineering* 136(3), 156-176.

⁵ Larson, M., Camenen, B., Nam, P.T. 2010. A unified sediment transport model for inlet application. *Journal of Coastal Research* (in press).

⁶ Брегвадзе А.В., Сагинадзе И.С. Моделирование литодинамических процессов в прибрежной зоне. II Международная конференция "Неклассические задачи механики". 6-8.10.2012. Кутаиси, Грузия.

მიმართულებებით, S - ენერჯის წყარო, η - გადახრაა წყნარი წყლის დონიდან, q_x, q_y - ნატანის ნაკადის კომპონენტებია X, Y მიმართულებებით, u, v - ნატანის სიჩქარის კოორდინატები, g - გრავიტაციული კონსტანტა, f - კორიოლისის პარამეტრი, D_x, D_y - ტურბულენტური სიბლანტის კოეფიციენტები, $\tau_{bx}, \tau_{by}, \tau_{sx}, \tau_{sy}$ - ფსკერული და ტალღური დამაბულობები, K_x, K_y - სიბლანტის კოეფიციენტები, n_p - ფორიანობის პარამეტრი, \bar{C} - ნატანის ვერტიკალურად გასაშუალებული კონცენტრაცია, d - ნატანის ნაწილაკის მახასიათებელი ზომა, h - სიღრმეა წყნარი წყლის დონიდან, q_{totx}, q_{toty} - ნატანის კონცენტრაციის კომპონენტები X, Y მიმართულებებით, P, D კი ნატანის ტრანსფერის და დეპონირების ნაკადები. ზემოთ მოტანილ განტოლებებში შემავალი ცალკეული პარამეტრები განისაზღვრებიან ემპირიული კოეფიციენტებითა და პრაქტიკული გამოყენებისთვის საკმარისი სიზუსტის მქონე მიახლოებითი ფორმულებით.

კონკრეტული რიცხვითი ექსპერიმენტები და სათანადო გაანგარიშებანი ხორციელდებოდა გრიგოლეთის მიდამოებში 180×163 მ სანაპირო ზოლისთვის (იხ. ნახ. 2.1.), დისკრეტიზაციის ბიჯით $\Delta x = \Delta y = 5$ მ და შემდეგი ტიპური პარამეტრებით: ტალღის სიმაღლე $H = 1$ მ, ტალღის პერიოდი $\tau = 4$ წმ, ტალღის მოხვლის კუთხე $24^\circ - 36^\circ$ x -ღერძის მიმართ. გარდა ამისა, გამოყენებულ იქნა სანაპირო ზოლის განსახილველი უბნისთვის დამახასიათებელი დამატებითი პარამეტრები: ფსკერის პროფილი (ტოპოგრაფია, ჰიდროგრაფია), ქარის პარამეტრები და ფსკერის გეოტექნიკური მახასიათებელი.



ნახ. 2.1. საკვლევი სანაპირო ზოლი

განსახილველ სანაპირო ზოლზე, პლაჟის ფორმირების დინამიკური პროცესების შესწავლის შემდეგ, განხორციელდა ნაპირის დაცვის ინჟინრული გადაწყვეტილებების შემუშავება: გრძივი გამჭოლი ტალღამჭრელის საშუალებით პლაჟის ფორმირებაზე შტორმის ენერჯის გავლენის კვლევა (იხ. აგრეთვე^{7,8}), კონსტრუქციული პარამეტრებისა და გეგმიური ადგილმდებარეობის განსაზღვრა, აგრეთვე, კონსტრუქციის სხვადასხვა დონეზე განლაგების მიხედვით, სხვადასხვა ტიპის ACE Tube-ს შერჩევა.

3. პრაქტიკული რეალიზაცია

ზემოთ აღწერილი მიდგომების საფუძველზე გრიგოლეთში განხორციელდა სანაპირო ზოლის პრაქტიკული აღდგენა-გამაგრება (იხ. ნახ. 2.1. და ნახ. 3.1, 3.2, 3.3). ამ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელება ემყარებოდა შემდეგ ფაქტორებს:

1. ძირითადი ნედლეული – ადგილობრივი მასალა (ფსკერიდან ამოღებული ქვიშა);
2. ზღვის სანაპირო პროცესების დეტალური შესწავლა და პროექტირება (იხ. ნახ. 3.4);
3. ACE Tube ტექნოლოგიის გამოყენების საერთაშორისო გამოცდილება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 100 მეტრი სიგრძის კონსტრუქციის აგება და ტომრების შევსება ზღვის ფსკერიდან ამოღებული ქვიშით, განხორციელდა ერთი თვის განმავლობაში და 1 გრძივი მეტრის ღირებულებამ შეადგინა 300-500 ლარი (ღირებულობა დამოკიდებულია ბატიმეტრიაზე და ნაპირის დახრის კუთხეზე). პლაჟის აღდგენის პროცესი დაიწყო პირველი შტორმის მოსვლისთანავე. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ACE Tube ტექნოლოგია არის სანაპირო ზოლის რეკონსტრუქციის სწრაფი, ეკონომიკურად მომგებიანი და ეფექტური საშუალება.

⁷ Krystian W. Pilarczyk, Design Aspects of GEO Tubes and Geocontainers, Zoetermeer, Netherlands, 30 January 1996.

⁸ Lake Wister Water Quality, Bathymetry, and Restoration Alternatives, U.S. Army Corps of Engineers, Tulsa District, Oklahoma Water Resources Board, Final Draft Report September 2003.




ნახ. 3.1. სანაპირო ზოლი პლაჟის აღდგენამდე



ნახ. 3.2. სანაპირო ზოლზე ACE Tube განლაგება



ნახ. 3.3. სანაპირო ზოლი პლაჟის აღდგენის შემდეგ



ნახ. 3.4. კონსტრუქციის აგების სქემა

4. დასკვნა

ზღვის სანაპირო ზოლი, მოქმედი ბუნებრივი პროცესების პროგნოზირებისა და შესწავლის თვალსაზრისით, შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რთული დინამიკური სისტემა, რომელიც ძალიან მგრძობიარეა გარე ზემოქმედების მიმართ. თანამედროვე პირობებში სულ უფრო მძაფრად დგება ნაპირების ტალღების დამანგრეველი მოქმედებისაგან დაცვის პრობლემა. ბოლო დროს საინჟინრო აზროვნება სულ უფრო მეტად ხდება ბუნებაზე ორიენტირებული, რის გამოც ახალი ტექნოლოგიები წარმოგვიდგება როგორც გარემოს დაცვის ეფექტური საშუალება. ერთ-ერთი მათგანია ACE Tube-ტექნოლოგია, რომელმაც, ამჟამად, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ზღვის სანაპირო ზოლის აღდგენა-გამაგრების პრობლემის გადაწყვეტაში.

წინამდებარე სტატიაში ნაჩვენებია, რომ ზღვის სანაპირო პროცესების მათემატიკური მოდელირების საფუძველზე შესაძლებელია ACE Tube ტექნოლოგიის მეცნიერულად დასაბუთებული გამოყენება ზღვის სანაპირო ზოლის დაცვა-აღდგენისთვის. გრიგოლეთში ჩატარებული საინჟინრო ღონისძიებების მაგალითი ადასტურებს, რომ ACE Tube ტექნოლოგიის საფუძველზე, საინჟინრო ღონისძიებების დასახვა და გატარება სანაპირო ზოლის აღდგენისთვის, უაღრესად ეფექტურია.

**ადგილობრივი საინოვაციო გამოცდილება საქართველოში.
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და
განვითარების ინოვაციური მიდგომები აჭარაში**

ასლან დევაძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და
მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი*

**Local Innovation Experience in Georgia. Innovative Approaches to the
Establishment and Development of Agricultural Cooperatives in Adjara**

Aslan Devadze

Senior Researcher, Institute of Agrarian and Membrane Technologies of Batumi
Shota Rustaveli State University

Summary

The Adjarian Autonomous Republic avails varied resources for developing a diversified agrarian sector. Purposeful steps are being taken for rehabilitation and development of agriculture. The adoption of the Law on Cooperatives has finally established a course for setting up cooperative societies, which is of utmost importance for making and functioning of such associations. As the world practice shows, this way is sound and irreversible. The state target program on the establishment of agricultural cooperatives in Adjara was initiated in 2013, prior to the adoption of the Law of Cooperatives. Based on analysis of voluminous materials concerning the available world experience and the outcomes of the earlier research conducted by Batumi Shota Rustaveli State University of Agrarian and Membrane Technologies the institutional-structural, methodological bases and options of a model charter of an agricultural cooperative have been developed. A stage-by-stage progress schedule has been determined. This program project served as a basis for a state target program implementation, which has been announced by the Adjarian Ministry of Agriculture. Five agricultural cooperatives have been established as advertizing models within the framework of the program. The results of the implemented work have demonstrated that the population is in expectation of an effective and stable course to be carried out in the agrarian sector on the part of the State. The article considers the problems revealed in the course of establishment of agricultural cooperatives and the main ways of handling them. In particular, two principal groups of such problems were identified: adequate informing of the population about the available world knowledge and experience on cooperatives and about the State strategy in the sphere of cooperatives establishment. The further development of cooperatives should be based on innovative approaches carried out in the direction of agricultural and processing technologies, training of personnel, marketing and management.

1. შესავალი

ევროკავშირის მიერ შემუშავებული და განხორციელების პროცესში მყოფი პოლიტიკის პოზიტიური შედეგები სხვადასხვა ქვეყანაში უკვე სახეზეა. საქართველოსთვისაც ასევე მნიშვნელოვანია ამ პოლიტიკის გატარებაში აქტიური ჩართულობა. განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყანაში აგრარული სფეროს განვითარების ხელშემწყობი ყველა რესურსის მობილიზაცია და მიზნობრივი გამოყენება. ის, რომ საქართველოს აგრარული სფეროს განვითარების ისტორიული ტრადიცია გააჩნია თავისი მრავალფეროვანი დარგობრივი სტრუქტურითა და წარმოებული პროდუქციის მრავალსახეობით, ის, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება კვლავაც უნდა დარჩეს და დარჩება კიდევ ეროვნული ეკონომიკის წამყვანი და პრიორიტეტული სფერო, ეჭვს არ იწვევს. მაგრამ საქართველოს მოსახლეობისთვის საკუთარი, ეროვნული სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობათა გამოყენება, არსებული რესურსების ათვისება და მიმართვა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სერიოზული ინოვაციური პოლიტიკის გატარების გარეშე შეუძლებელია და საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

ინოვაციური პოლიტიკა სწორედ ის გზაა, რომელმაც საერთაშორისო თანამეგობრობისთვის საქართველო შესაძლებელია გადააქციოს წონად პარტნიორად მრავალფეროვანი და ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების წარმოებასა და მიმწოდებაში. საქართველო ერთგვარი საცდელი ლაბორატორია-ტერიტორიაა, სადაც სასოფლო-სამეურნეო დარგში თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა აპრობირება-დანერგვის ფართო ასპარეზია - გამომდინარე გეოგრაფიული და ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან, კვების პროდუქტების ეროვნული სახეობებით, სამეურნეო საქმიანობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმებით და ა.შ.

აქედან გამომდინარე, მსოფლიო გამოცდილების გამოყენება დააჩქარებს დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების გადაჭრას. გამოწვევები კი საკმაოდ რთულია და ბევრი. არავისთვისაა სიახალე იმის განცხადება, რომ უკვე ორ ათეულ წელზე მეტია ქვეყნის ეროვნული ეკონომიკა და მათ შორის სოფლის მეურნეობაც სტაგნაციის მდგომარეობიდან ვერ გამოვიდა. გასაგები მიზეზების გამო, დღის წესრიგში დადგა ბრძოლა თუნდაც იმისათვის, რომ შევძლოთ არც თუ ისე შორეულ წარსულში მიღწეული წარმოების მასშტაბებთან მიახლოება. საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით ინოვაციური მიდგომების ფოკუსირება უნდა მოხდეს მართვის, მიწათსარგებლობის,

სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი წარმოების სფეროებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პრობლემებზე.

სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების მსოფლიო პრაქტიკა ცალსახად აფიქსირებს ინოვაციური მიდგომების პოზიტიურ ეფექტს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა სახელმწიფოს მხრიდან მხარდამჭერი პოლიტიკის გატარების ეფექტური მოდელების ჩამოყალიბება. ამ მიმართულებით სხვადასხვა ქვეყნებს საკუთარი სტრატეგია გააჩნიათ და ეს ბუნებრივია, გამომდინარე თითოეული მათგანის ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონიდან, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ამოცანებიდან, მიზნებიდან და რესურსებიდან.

საქართველოს ხელისუფლების მიერ აგრარული სფეროს განვითარებისათვის ამჟამად გადადგმული ტაქტიკური ნაბიჯები არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც შემთხვევითი ფაქტი. სწორედ აგრარული სფეროს რეაბილიტაცია-განვითარებით შესაძლებელია მთლიანად ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღების რეალური საფუძვლების შექმნა.

2. აჭარის სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების სპეციფიურობა

აჭარის სოფლის მეურნეობა მრავალდარგობრივია და გარკვეული სპეციფიურობით ხასიათდება. ეს განპირობებულია რამდენიმე გარემოებით (იხ. ^{1,2,3,4}), კერძოდ:

- რეგიონში მოსახლეობის საკმაოდ მაღალი სიმჭიდროვე, მათ შორის სოფლად;
- სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილის მაღალი დონე;
- ერთ ოჯახზე სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობების სიმცირე;
- მიწის კონტურების, მასივების ნაყოფიერების, განაშენიანების, ზონალობის დიფერენციაციის მაღალი დონე (ასევე ნიადაგების ბიოქიმიური შემადგენლობის განსხვავებულობა), მოსავლის აღების სეზონურობა და ა.შ.;

¹ გ. პაპუნძე, ა. დევაძე – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბება და განვითარება აქტიური სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. 2013 წ. №32.

² გ. პაპუნძე, მ. კობახიძე, ა. დევაძე – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავების ტექნოლოგიების დანერგვით უნდა დავიწყოთ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. 2013 წ. №32.

³ გ. პაპუნძე, ა. დევაძე, მ. კობახიძე – მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პერსპექტივები და მიმართულებები აჭარაში. 2011 წ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. 2011 წ. №29.

⁴ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სარეკლამო მოდელების ჩამოყალიბება და შემდგომი დანერგვის ორგანიზაცია“. შესრულების ანგარიშის მასალები. ქ. ბათუმი, 2013 წ.

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნედლეულის წარმოების მრავალფეროვნება, აქედან გამომდინარე სამრეწველო გადამამუშავებისათვის ნედლეულის არაერთგვაროვნება და განსხვავებული მასშტაბები;
- მოსახლეობაში მეციტრუსეობისა და მეჩაიეობის დარგების შენარჩუნების მენტალური ფაქტორი, ბაზრის გაფართოების მოლოდინი და ალტერნატიული დარგებით ჩანაცვლების ინერტულობა. ასევე დაბალი ზღვისპირა სუბტროპიკული ზოლის ნიადაგების ქიმიურ-ბიოლოგიური შემადგენლობიდან გამომდინარე სხვა კულტურების გამოყენების შეზღუდულობა;
- მეცხოველეობის, მეკარტოფილეობის, მეფუტკრეობის, მევენახეობა-მელვინეობის, მეთამბაქოეობის, მებოსტნეობის, სუბტროპიკული ხურმის, კივის, ფეიხოსას, ზეთისხილის, მებოსტნეობის ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი გემური თვისებების მქონე პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა. მათ გააჩნიათ საკმაოდ მაღალი პოტენციალი როგორც ნედლეულის, ისე გადამამუშავებული პროდუქციის სახით რეალიზაციისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამისათვის გადამამუშავებელი მრეწველობის ინფრასტრუქტურა არ არსებობს;
- თითქმის არ არსებობს კლასიკური გაგებით ფერმერული მეურნეობები, დომინირებს მცირე ოჯახური მეურნეობები.

3. ინოვაციური მიდგომები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების პროცესში

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარაში სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, ფართომასშტაბიანი კვლევების საფუძველზე, შემუშავდა მიდგომები სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების ჩამოყალიბების შესახებ. ბუნებრივია, ჩვენ ვერ შევქმნიდით რაღაც განსაკუთრებულ ფორმას, რომელიც რევოლუციას მოახდენდა, თუმცა საპროექტო გადაწყვეტილება მომზადდა მოსახლეობის განწყობა-შეხედულებების გათვალისწინებით. ჩვენი ლოგიკური სქემა, რომელიც ასახული იყო სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამაში, ასე ჩამოყალიბდა:

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების (გაერთიანებების) შესახებ მოსახლეობასთან ინფორმაციის მიტანა;
2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ სოფლის მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა. კოოპერატივების ჩამოყალიბების გეოგრაფიული საზღვრები, სამეწარმეო მიმართულება, ყოფილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების

პირობებში ჩამოყალიბებული სტერეოტიპების გამოვლენა, ახალი სტრუქტურების მათთან შედარება და ა.შ.;

3. მოსახლეობის მიერ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების საინიციატივო ჯგუფების შექმნა სანდოობისა და კომპეტენციის, ავტორიტეტის გათვალისწინებით. საინიციატივო ჯგუფების შექმნა ხორციელდებოდა საერთო კრების გადაწყვეტილებით;
4. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების მსურველი სოფლების (ტერიტორიების) შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა და გამოყენება. ეს განპირობებული იყო იმით, რომ მოსახლეობამ გამოიჩინა ინიციატივა და სურვილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების მიმართ. კრიტერიუმები კი ასეთი შეირჩა: ტერიტორია, ოჯახების რაოდენობა, სასოფლო-სამეურნეო მიწების რაოდენობა, დარგები, საშუალო მოსავლიანობა და წარმოებული პროდუქციის მოცულობა, რესურსები, განვითარების პერსპექტივები და ა.შ.;
5. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წესდების პროექტის შემუშავება, განხილვა და მიღება საერთო კრებაზე;
6. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაფუძნება, მსურველთა განცხადებების საფუძველზე (განცხადების ფორმა შემუშავებულია) გამგეობებისა და სამეთვალყურეო საბჭოების არჩევა;
7. ცალკეული კოოპერატივების საწარმოო პროგრამების შემუშავება, რომლებიც დაეფუძნებოდა ცალკეულ ოჯახების რესურსების აღრიცხვის ფურცელში ასახულ ინფორმაციას;
8. წევრი ოჯახების საკარმიდამო ნაკვეთებში მიწის ნიმუშების აღება, ანალიზი და აგროტექნოლოგიური რეკომენდაციების შემუშავება. ასევე დაავადებებისა და მავნებლების გავრცელების სახეობები, ხარისხისა და მასშტაბების შესწავლა, მათთან ბრძოლის რეკომენდაციების შემუშავება;
9. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიების შერჩევა და დანერგვის რეკომენდაციების, პროექტების მომზადება;
10. სწავლება-კონსულტირება კოოპერატივების მართვისა და მარკეტინგული კვლევების მიმართულებით.

იმ პრობლემათა შორის, რომლის გადაჭრის აუცილებლობის წინაშე დგას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, ერთ-ერთი უმთავარესია საპაიო შენატანების - საპაიო ფონდის ფორმირება. მით უმეტეს, რომ სწორედ საპაიო ფონდი არის ის ძირითადი ინდიკატორი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო მხარდაჭერის შეღავათიანი ფორმების გამოყენების პოტენციურ შესაძლებლობებს. თუ აჭარის მაგალითზე ვიმსჯელებთ, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სურს იყოს კოოპერატივის სრულუფლებიანი წევრი (და არა დაქირავებული წევრი),

მაგრამ მას არ გააჩნია სასოფლო-სამეურნეო მიწების დიდი რაოდენობა, ფულადი სახსრები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და წარმოების სხვა საშუალებები. საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, აჭარაში ფაქტიურად შეუძლებელია ამა თუ იმ კულტურის მასივების შექმნა ისე, როგორც იყო ადრე კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობების პირობებში - მითუმეტეს ახლა, როდესაც მოხდა მიწების პრივატიზაცია და ერთიანი მასივები ახალი მოსახლეობით შეივსო, ანუ დაიყო საკარმიდამო ნაკვეთებად. სამწუხაროდ, მიწის დეფაქტო მესაკუთრეთა უმეტეს ნაწილს მიწები და საკუთარი ქონება რეგისტრირებული არა აქვთ, რაც გარკვეულწილად ზღუდავს შესაძლებლობებს ამ საკუთრების კოოპერატივში შეტანის მიმართებით. ამის მიზეზად, ხშირ შემთხვევაში, სახელდება მოსახლეობაში საჭირო ფულის არქონა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, როგორი გარანტიებიც არ უნდა იყოს ჩადებული კოოპერატივის წესდებაში, ოჯახის კუთვნილი ქონების დაკარგვისაგან დაცულობის მექანიზმები, მისდამი ნდობის ხარისხი მაინც დაბალია. თუნდაც იმ გარემოების გამო, რომ მოსახლეობას მწარედ ახსოვს, როდესაც სახელმწიფომ უკანონოდ მიითვისა საკოლმეურნეო საკუთრება. დღეს მათი უმეტესი ნაწილი გასხვისებულია ისეთ სუბიექტებზე, რომელთაც არაფერი აკავშირებთ აგრარულ სფეროსთან, უდიდესი ნაწილი კი გამოუყენებელია. გლახს კი არაფერი გააჩნია გარდა საკარმიდამო ნაკვეთებისა და საკუთარი სხვა უძრავ-მოძრავი ქონებისა. აქედან გამომდინარე თუ ქართლში, კახეთსა და სხვა რეგიონებში შესაძლებელია მოიძებნოს სუბიექტები, რომლებიც შეძლებენ მსხვილი საპაიო ფონდის, მაგრამ ნაკლები წევრებისაგან შექმნილი კოოპერატივის ჩამოყალიბებას, ეს მოდელი აჭარაში ნაკლებად ეფექტურია ჯერ-ჯერობით მაინც. ცალკე აღებული არასასოფლო-სამეურნეო პროფილის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმის მქონე სუბიექტებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, ფერმერული/ოჯახური მეურნეობების პარტნიორული თანამშრომლობის მობილური სისტემის ჩამოყალიბება კი ძნელია, მაგრამ შესაძლებელი.

როდესაც ვლაპარაკობთ ინოვაციური პროცესების განვითარებაზე, აუცილებელია ყველა მასში მონაწილე სუბიექტს ჰქონდეს მასზე რეალური წარმოდგენა. როგორც ცნობილია, ინოვაცია არის პროცესი, რომელიც მოქმედებს იდეის დაბადებიდან მის კომერციულ რეალიზაციამდე და მოიცავს ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულ კომპლექსს – წარმოება, გაცვლა, მოხმარება. ჩვეულებრივ, ინოვაციის ქვეშ გულისხმობენ საშუალებების დაბანდებას ეკონომიკაში, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკისა და ტექნოლოგიების თაობათა ცვლას. ნებისმიერი ინოვაციური იდეის განხორციელება გულისხმობს წინასწარ კაპიტალ-

დაბანდება, რომლის სპეციფიკა ისაა, რომ იგი საკმაოდ მაღალ რისკებთანაა დაკავშირებული.

საქართველოს აგრარული სფეროს განვითარების წინაშე მდგარი გამოწვევების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ინოვაციური პოლიტიკის განხორციელება რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულებით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

- სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების ჩამოყალიბება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და ქვეყნის ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ადგილობრივი რესურსების შეფასებისა და გამოყენების შესაძლო მიმართულებების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების საფუძველზე და მარკეტინგული კვლევების გამოყენებით დარგობრივი და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ინფრასტრუქტურის მოდელების შემუშავება-განხორციელება;
- თანამედროვე აგრო და გადამამუშავებელი ტექნოლოგიების მოძიება, შემუშავება და დანერგვა ქვეყანაში ისტორიულად ჩამოყალიბებული კვების პროდუქტების წარმოების ტრადიციული სახეობების შენარჩუნებით;
- სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების (კოოპერატივების) განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიის თანდათანობითი გაფართოება და სრულყოფა.

ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციულ-ეკონომიკური სტრატეგია აჭარის რეგიონის სოფლის მეურნეობაში ისევე, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ჯერ-ჯერობით სრულყოფილად ჩამოყალიბებული არ არის. აჭარაში მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლად ცხოვრობს და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მთლიანად დამოკიდებულია აგრარული სფეროს განვითარებაზე. მაშინ, როცა საქმე გვაქვს წარმოების ნატურალურ და ექსტენსიურ ფორმებთან, აგრარული სფეროს ფუნქციონირების გადაყვანა თანამედროვე მოდელზე მხოლოდ ინოვაციური გზითაა შესაძლებელი.

უდავოა, აგრარული რეფორმების განხორციელება უნდა ეყრდნობოდეს მსოფლიოს გამოცდილებას და საქართველოში ეს პროცესი ასეც მიმდინარეობს, მაგრამ აუცილებელია ქვეყნის თუ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ეკონომიკის კონკრეტული პირობების, ტრადიციების, ხალხის მენტალიტეტისა და ა.შ. გათვალისწინება.

ჩვენი აზრით, ევროკავშირის რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა, მოდელი აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების რეგიონებისათვის, სრულფასოვნად განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პროცესში აქტიურად იქნება ჩართული სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაციების, დაწესებულებების და სხვა სტრუქტურების

ინტელექტუალური პოტენციალი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების თემატიკა და სასწავლო პროგრამები ორიენტირებული უნდა იყოს აგრარული სფეროს ინოვაციური განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნისაკენ.

თუ აჭარის რეგიონის მასშტაბით ვიმსჯელებთ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი პროფილით ფლობს საკმარის პოტენციალს, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღოს რეგიონის აგრარული სფეროს ინოვაციური განვითარების პროცესში, იყოს ინიციატორი და ავტორი ინოვაციური პროგრამებისა და პროექტების, აქტიურად ჩაერთოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ სახელმწიფო სტრატეგიის, მიზნობრივი პროგრამების შემუშავება-განხორციელების პროცესებში.

კოოპერატივების პოტენციალის გამოყენების ინოვაციური ეფექტურობა დამოკიდებულია ინოვაციის მართვის ეფექტურობასა და მიზანმიმართულებაზე. აქ ორი ძირითადი ამოცანა უნდა გადაწყდეს: 1) ტრადიციული დარგობრივი სტრუქტურის შენარჩუნების პარამეტრების დადგენა; 2) დარგთა შეთანაწყობის მოდელების შემუშავება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა, თევზის სატბორე მეურნეობა, მეცხოველეობა, მეთამბაქოეობა, მეაბრეშუმეობა - ის დარგებია, რომელთა შენარჩუნება და დაბალანსებული განვითარება სწორედ ინოვაციური მიდგომებით უნდა განხორციელდეს. უნდა განისაზღვროს ამ დარგების წარმოების მოცულობითი მაჩვენებლები და მიწოდების საბაზრო სეგმენტები.

4. ინოვაციური პოლიტიკის ამოცანები

ინოვაციური პოლიტიკის გატარების უზრუნველმყოფი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფარგლებში მიზანი უნდა იყოს დასანერგი ინოვაციური პროექტების შემუშავება, დასაბუთება და მიწოდება. პრიორიტეტულ ამოცანებს შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- ✓ ინოვაციური პროექტირების თეორიული, მეთოდური საფუძვლებისა და პრაქტიკის შესწავლა;
- ✓ კოოპერატივების ცალკეული კატეგორიების (ფორმების) ფუნქციონირების გამოცდილება.
- ✓ თანამედროვე პროგრესული ტექნოლოგიების შესწავლა;
- ✓ შემუშავდეს ან შეთავაზებულ იქნას ორგანიზაციულ-მმართველობითი და ტექნოლოგიური მოთხოვნის პორთფელი, მაღალკონკურენტიანი პროდუქციის წარმოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით;

- ✓ ინოვაციური პროგრამების სტრუქტურის აღწერა და საფინანსო-ეკონომიკური გათვლების ჩატარება;
- ✓ ინოვაციური პროგრამების განხორციელების ბიზნეს გეგმების შედგენა.

მიზნობრივი პროგრამის განხორციელების პროცესში ჩვენი ინოვაციური მიდგომები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- ✓ სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების ჩამოყალიბებისადმი მოსახლეობის პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და სტიმულირება, მოსალოდნელი შედეგების გაცნობიერების გაფართოება;
- ✓ კოოპერატივების ჩამოყალიბების მიზნით სოფლების, ტერიტორიების შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა და გამოყენება მოსახლეობის მენტალიტეტისა და ისტორიული წარსულის გათვალისწინებით;
- ✓ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დარგობრივი სტრუქტურის დღევანდელი და პროგნოზული სქემების დადგენა.
- ✓ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ოპტიმალური საწარმოო პროგრამების შედგენის ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავება მრავალვარიანტული გათვლებით;
- ✓ რაციონალური მართვის სტრუქტურის ჩამოყალიბება (გამგეობა, სამეთვალყურეო საბჭო, სპეციალური სამსახურები, მარკეტინგული კვლევები და ა.შ.);
- ✓ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აგროტექნოლოგიების დაგეგმვა და განხორციელების ორგანიზაცია (მიწების ინვენტარიზაცია, ნიადაგის ბიოქიმიური შემადგენლობის ანალიზი, სასუქებისა და შხამქიმიკატების, ბიოპრეპარატების დოზირებული გამოყენება და ღონისძიებათა ჩატარების დროითი გრაფიკების შედგენა, მონიტორინგი);
- ✓ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავების ტექნოლოგიების მოძიება, შემუშავება და დანერგვა (გადამამუშავებელი საწარმოების პროფილის, სიმძლავრის, გადაადგილების, ტექნიკური და ტექნოლოგიური აღჭურვილობის, კონკურენტუნარიანობის, პროდუქციის მოთხოვნის, რენტაბელობის გაანგარიშებით);
- ✓ ტრადიციული კვების პროდუქტების დამზადების ტექნოლოგიების აღწერა და მეცნიერულ დონეზე შემუშავება, დოკუმენტაციის მომზადება, წარმოების ორგანიზაცია;
- ✓ ახალი, საკუთარი კონსტრუქციის ტექნიკური საშუალებების გამოყენება (მანდარინის და სხვა პროდუქციის შენახვის გამხანგრძლივებელი ბიოპრეპარატის გამოყენება, მობილური

და სტაციონალური, დამკალიბრებელი, ხილისა და სხვა მცენარეული ნედლეულის, ჩაის საშრობი აპარატები და ა.შ.);

- ✓ ახალი და გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანერგვა;
- ✓ განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის პროცესის გაფართოების რეგიონული პროგრამების შემუშავება (რეგიონის, მუნიციპალიტეტების მიხედვით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების, საინვესტიციო პროექტების შესრულების დაწყება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ქსელის ჩამოყალიბების გათვალისწინებით).

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარკვეულწილად ახორციელებს საინოვაციო პოლიტიკას და ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „აგროსერვისცენტრის“ მიერ გადადგმული ნაბიჯები: საკოლექციო ნაკვეთების მომზადების ახალი და გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანერგვის, გადამუშავების, ახალი ტექნოლოგიებისა და მექანიზაციის საშუალებების გამოყენების, ფერმერთა სწავლება-კონსულტირების და სხვა მიმართულებით.

როგორც მთლიანად საქართველოში, ისე აჭარის რეგიონშიც, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო და ეს აგრარული სფეროს განვითარების საწინდარია. თუმცა ამ პროცესისადმი სისტემური მიდგომა ჯერ კიდევ არ შეიმჩნევა. მიზეზები კი სხვადასხვაგვარია, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური. ხაზგასასმელია შემდეგი მომენტები:

1. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ცალკეულ რგოლებში თითქოს არის მცდელობა და ინტერესი აგროსერვის განვითარების მიმართ. მაგრამ ეს არ არის სისტემური მიდგომა. ძირეული რგოლები, ოჯახური მეურნეობა, ფერმერული მეურნეობა, კოოპერატივი ვერ გრძნობენ გამოცოცხლებასა და სასურველ ხელშეწყობას.
2. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან უამრავი უცხოელი კეთილმოსურნე გამოჩნდა, მათ დაიწყეს სხვადასხვა პროექტების განხორციელება, მაგრამ ეს ექსპერიმენტების დონეს ვერ გასცდა და სწავლება-კონსულტირების სადემონსტრაციო ჩვენებად დარჩა. თუმცა ამ პროგრამებმა და პროექტებმა ქვეყანაში ინოვაციის ელემენტები ნამდვილად შემოიტანა, რაც დასაფასებელია. მეწარმეობის სურვილი ბევრს აქვს, ბევრია ამისათვის მოწოდებული, მაგრამ საკმარისი რესურსი არ გააჩნიათ. შეღავათიანი პირობებით რესურსის მომწოდებელი კი არავინაა. თანამედროვე ტექნოლოგიას და საწარმოს არავინ არავის ჩუქნის და არც მიყიდის, რადგანაც არავის უნდა ბაზარზე კონკურენტი გაიჩინოს. ამიტომ

ამ ნაბიჯებმა ქვეყანაში აგრარული სფეროს განვითარების დაჩქარება ვერ შეძლო. აქედან გამომდინარე, წარმოების ფაქტორების სისტემური მიდგომით, ქვეყნის შიდა რესურსების მოძრაობაში მოყვანაა საჭირო.

3. საქართველოს კანონის „კოოპერატივების შესახებ“ მიღება დიდი საქმის კარგი დასაწყისია, მაგრამ რეალიზაციის ინსტრუმენტები და მექანიზმები გამოკვეთილი არ არის. ბუნებრივია, ვერც კანონი იქნება უნაკლო და სრულყოფილი და არც შესრულების ორგანიზაციული სისტემა, მაგრამ დაუშვებელია, რომ სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატი, განსაკუთრებით მართვის საშუალო და ძირეული რგოლები იჩენდნენ ინერტულობას და ცდილობდნენ საკუთარ ამბიციებზე მორგებული იმპროვიზირებული ვარიანტების შემუშავებას და განხორციელებას. სამწუხაროდ, ჩვენი მუშაობის პრაქტიკამ ბევრი ასეთი შემთხვევა გამოავლინა.

ჩვენი ხედვა მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება ეფექტურად გამოვიყენოთ საერთაშორისო დახმარების პროგრამები, მოვახდინოთ მათი ფართო ტირაჟირება. ამისათვის კი სახელმწიფოს შიდა რესურსების გამოყენებისადმი მეწარმე სუბიექტებისთვის ხელმისაწვდომი გარემოს შექმნაა საჭირო. ხშირად ხდება იმის დასაბუთება, რომ სახელმწიფო დახმარებას მიზნობრივი შეღავათიანი პირობებით მიიღებენ მხოლოდ ის სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებები, რომელთაც წონადი ქონება გააჩნიათ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუცილებელია კოოპერატივების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მცირე ფინანსური რესურსების პოტენციალის ფორმირება, ამავდროულად არ უნდა გამოვრიცხოთ იმ პროექტების სრული დაფინანსება გრძელვადიანი დაფარვის პირობებით, რომლებიც წარმოდგენილი იქნება მრავალწევრიანი, მაგრამ შედარებით დაბალი საბაზისო სასტარტო ქონების მქონე კოოპერატივებით.

სამწუხაროდ, ჩინოვნიკთა ნაწილის აზრით, არ უნდა შეიქმნას მრავალრიცხოვანი კოოპერატივები და მხოლოდ მცირერიცხოვნების შექმნაა საირო. ასეთი მსჯელობის ლოგიკა მდგომარეობს იმაში, რათა მათი ხელშეწყობით ამ ბიუროკრატებმა შეძლონ მონაწილეობა მიიღონ კოოპერატივების მართვაში. ხშირად ასეთ ხალხს არაფერი აქვთ საერთო არც სოფელთან, არც სოფლის მოსახლეობასთან, არც კოოპერაციასთან. მათი მიზანია ვინ იცის რა გზით დაგროვილი ქონების საპირფონე სახელმწიფო შეღავათები მიიღონ და პირადი ბიზნესი განავითარონ. ამის კონკრეტული მაგალითია შარშანდელი ციტრუსების დამზადების ორგანიზაციული მოდელი.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში 5 კოოპერატივი შეიქმნა. მათ ჩამოყალიბებას დიდი რეზონანსი მოჰყვა ამ დროისათვის აჭარაში

რეგისტრირებული ანუ იურიდიულ სამართლებრივი ფორმა მიღებული აქვს 10-ზე მეტ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს, ხოლო დაფუძნების სტადიაშია 30-მდე. როგორც საერთო მდგომარეობა ცხადყოფს, მიმდინარე წელს კოოპერატივთა რაოდენობა გაიზარდება. უკვე გამოიკვეთა ინოვაციური სიახლეების განხორციელების ის სეგმენტები, რომლებიც კოოპერატივების ქმედითუნარიანობის საფუძვლებს შექმნის. მათ შორის უნდა აღინიშნოს:

ინოვაციები კოოპერატივებში

- ✓ პროდუქციის ბრენდირება. ამ მიმართულებით შერჩეულია რამდენიმე კვების პროდუქტი, რომლებიც იწარმოება, როგორც მემცენარეობის, ისე მეცხოველეობის პროდუქციისაგან. მთავარი ამოცანაა ტექნოლოგიების ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება, სრულფასოვანი, მაღალი ხარისხის ნედლეულის წარმოების ზონების დადგენა, საწარმოო სიმძლავრეების გამართვის პროექტების მომზადება.
- ✓ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის მნიშვნელოვანი ხელშეწყობა დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლის დოზირებული და რეგლამენტირებული გრაფიკით. სხვადასხვა მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების გატარება მოსავლიანობის გაზრდის მიზნით.
- ✓ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მიერ ჩატარდა სამუშაოები ბიოპრეპარატების გამოყენების მიმართულებით მანდარინის (ასევე სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების) შენახვის გახანგრძლივებისა და ტრანსპორტირებისადმი გამძლეობის გაზრდის მიზნით. შედეგი პოზიტურია და აღნიშნული ინოვაციური მიმართულებები ამაღლებს რენტაბელობას, შეამცირებს დანაკარგებს, გახანგრძლივდება მოსავლის შენახვის და რეალიზაციის პერიოდი.
- ✓ მეციტრუსეობის დარგის რენტაბელობას დიდად შეუწყობს ხელს მანდარინის ყვავილის ექსტრაქტისა და შემდგომ მისგან ალკოჰოლიანი, უალკოჰოლო სასმელებისა და საკონდიტრო ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიების გამოყენება. ამ ტექნოლოგიების დანერგვა 40-50%-ით აამაღლებს ამ დარგის რენტაბელობას.
- ✓ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ციტრუსების ახალი ჯიშების, საცდელი ნაკვეთებისა და საკოლექციო ნაკვეთების გამოყენებით დარგის განვითარების ახლებური სტრუქტურის ჩამოყალიბება. ამ სფეროში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სუბიექტების თანამშრომლობა ადგილობრივი პირობებისადმი მაღალი ადაპტაციისა და ხარისხის (ბიოქიმიური შემადგენლობით) ნაყოფის მომცემი ჯიშების გამოცდა-შერჩევაში.
- ✓ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მიერ წლების განმავლობაში შემუშავებულია მრავალი პროგრესული

ტექნოლოგია ჩაის ნედლეულისაგან სხვადასხვა სახის პროდუქტების საწარმოებლად. ამ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით კოოპერატივებს შეუძლიათ აწარმოონ თხევადი და ცივი ჩაი, კონცენტრატები, მწვანე ჩაი და სხვა.

- ✓ მთიანი რეგიონის კოოპერატივებს საშუალება ეძლევათ გამოიყენონ მობილური, მარტივი კონსტრუქციის, მყარ საწვავზე (შეშაზე) მომუშავე მცირე სიმძლავრის საშრობი აპარატები მოცვის ჩაის დასამზადებლად, შემდგომი დაფასოება შეფუთვის ტექნოლოგიებით.
- ✓ მნიშვნელოვანია მევენახეობა-მელვინეობის დარგის განვითარების აგრო და გადამამუშავების ტექნოლოგიების გამოყენება. სუფრისა და საღვინე ყურძნის ჯიშების ზონალური და ტერიტორიული დარაიონების სქემების შემუშავება. ჩხავერისაგან სუფრისა და ცქრიალა ღვინოების დამზადება. აქტუალურია (აჭარისთვის ტრადიციული) მაღლავი წესით ვენახის გაშენების პროექტის განხორციელება.
- ✓ მთიანი რეგიონებისათვის მნიშვნელოვანია მთის მარწყვის წარმოება. აქ მარწყვი საკმაოდ მაღალი ხარისხისაა, ეკოლოგიურად სუფთაა და აგვისტო-სექტემბერში მოდის. ამ მხრივაც შემუშავებულია სათანადო ღონისძიებები.
- ✓ სამთო იალაღებზე დიდი რაოდენობით ნაკელია, რომელიც ღია ცის ქვეშ, გადაუხურავ ცხოველთა სადგომებთანაა დაგროვილი და წვიმის შედეგად ჩაედინება მდინარეებში. შემუშავებულია რეკომენდაციები მათი შეგროვების, დაფასოებისა და რეალიზაციის მიზნით.
- ✓ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყო პროგრამის განხორციელება მეფუტკრეობის დარგის განვითარებისათვის სკების შემოტანით. ამ მხრივაც კოოპერატივებს, ფერმერულ და ოჯახურ მეურნეობებს კარგი პერსპექტივები გააჩნიათ.
- ✓ მნიშვნელოვანია ტექნოლოგიები სუბტროპიკული ხურმის, თხილის, ბოსტნეულის, ხილისა და სხვა ნედლეულის გადამამუშავებისათვის.
- ✓ სერიოზული ინოვაციური პროექტები შეიძლება განხორციელდეს მეცხოველეობის, თევზის სატბორე მეურნეობის, მეკარტოფილეობის და სხვა დარგებისათვის.
- ✓ გარკვეული პროექტების განხორციელების შესაძლო ვარიანტები განიხილება სოფლის ტურიზმის განვითარების მიმართულებით.

5. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში გადასაჭრელი საკითხები

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოცხადებული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სარეკლამო მოდელების ჩამოყალიბება და შემდგომი დანერგვის ორგანიზაცია“ განხორციელების პროცესმა ცხადყო, რომ:

- ✓ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებისათვის, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მზადყოფნას გამოთქვამს საკუთარი ოჯახური მეურნეობის პოტენციური შესაძლებლობები, კოოპერაციის პრინციპების დაცვით, მაქსიმალური ეფექტით გამოიყენოს.
- ✓ აჭარაში მიზანშეწონილია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბება მცირე მიწიანი საკარმიდამო ნაკვეთების მქონე ოჯახების ნებაყოფლობითი გაერთიანებით, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან წევრი ოჯახების შრომითი, მიწის, წარმოების სხვა საშუალებების, რესურსების რაციონალურად გამოყენებაზე, წარმოებული პროდუქციის გადამუშავებაზე, შენახვასა და რეალიზაციაზე.
- ✓ რეგიონის აგროსფეროში, კოოპერაციის პირობებში, არსებობს სხვადასხვა პროექტებისა თუ პროგრამების განხორციელების შესაძლებლობები, თუმცა საჭიროა სახელმწიფოს მხარდამჭერი პოლიტიკის გაფართოება, მიწების, უძრავ-მოდრავი ქონების კოოპერატივების საქმიანობაში გამოყენების სტიმულირებისათვის მათი სახელმწიფო საკუთრებიდან სხვადასხვა ფორმით გადაცემის გზით. იკვეთება ტენდენცია არამრავალწევრიანი, მაგრამ საკმაოდ სოლიდური მატერიალური და ფინანსური რესურსების მქონე კოოპერატივების ჩამოყალიბების მიმართულებით.
- ✓ აუცილებელია სახელმწიფომ უზრუნველყოს პრიორიტეტულობა ყოფილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კუთვნილი, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემული ქონების ახლადჩამოყალიბებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე გადაცემა სათანადო მექანიზმების გაუმჯობესებითა და პროცედურების სრულყოფით.
- ✓ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების პროცესის გააქტიურებას, კოოპერატივების წევრთა სტიმულირების გაძლიერებას დიდად შეუწყობს ხელს თუნდაც სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებული ხუთი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გადაქცევა საჩვენებელ მოდელად, სახელმწიფოს მხრიდან არსებული რესურსების სამრეწველო გადამუშავების უზრუნველმყოფი სხვადასხვა სიმძლავრისა და პროფილის საწარმოო ობიექტების ამოქმედებაში დახმარება. სახელმწიფოს შეღავათიანი დახმარებები განხორციელდეს კოოპერატივის წევრთა რიცხოვნების, ტერიტორიის დარგობრივი მიმართულების, წარმოებული პროდუქციის მოცულობის, შრომითი რესურსების და საერთო კრების გადაწყვეტილებით დამტკიცებული საწარმოო პროგრამების გათვალისწინებით. ასევე, კოოპერატივების მიერ წარმოდგენილი ცალკეული პროგრამებისა და პროექტების აქტუალობით, დასაბუთების ხარისხით და მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგების გათვალისწინებით. საპაიო

ფონდის ოდენობა არ იყოს ძირითადი კრიტერიუმი და განმსაზღვრელი დახმარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს.

- ✓ ინოვაციური პოლიტიკის სრულფასოვნად გატარებისათვის დაფინანსების სხვადასხვა წყაროებით განხორციელებული პროექტები და პროგრამები ჯერ-ჯერობით ვერ უზრუნველყოფენ აგრობიზნესის ეფექტური მოდელის ჩამოყალიბებას და არსებული რესურსების სრულად და რაციონალურად გამოყენებას. მიუხედავად გარკვეული ე.წ. წერტილოვანი საჩვენებელი ობიექტების შექმნისა და სწავლება-კონსულტირებისა, ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მასშტაბები ვერ იძლევა სერიოზული გარდატეხის მოხდენის შესაძლებლობას. ამიტომ ყველა მიმართულებით ინოვაციების დანერგვის გაფართოება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ქმედითუნარიანობას გაზრდის და მასიურ ხასიათს მიიღებს.
- ✓ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მეცნიერული კვლევების შედეგების გამოყენებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ტექნოლოგიური ინოვაციური პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელების პროცესის დაგეგმვაში. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ჩატარებულმა მიწების ბიოქიმიური შემადგენლობების შესწავლამ, დაავადებებისა და მავნებლების სახეობებისა და გავრცელების ხარისხის დადგენამ ცალკეული ზონების მიხედვით, პროდუქციის ნედლეულის ბიოქიმიური შემადგენლობის შესწავლამ, შესაძლებელი გახადა შემუშავებულიყო რეკომენდაციები 300-მდე გადამამუშავების ტექნოლოგიების გამოყენების და ტექნიკური მოწყობილობა-დანადგარების, ასევე საწარმოთა კატეგორიების შესახებ. საწარმოო გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის შექმნის ინოვაციური მიდგომა კოოპერატივებში, კოოპერატივთშორისი და რეგიონული მასშტაბის საწარმოების შექმნის კონცეპტუალური სქემების შემუშავება ნედლეულის სახეობების, ბაზრის სეგმენტების და მოთხოვნა-მიწოდების გათვალისწინებით.
- ✓ ინოვაციური მიდგომის ინტენსიურად დანერგვის გზით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბება-განვითარების პროცესის დინამიურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების მიმართვა თუნდაც მარტივი კონსტრუქციის წარმოების ტექნიკური საშუალებების შექმნისა და დანერგვის საქმეში. როგორც პრაქტიკამ ცხადყო, აჭარაში არიან მთელი რიგი მეწარმეები, რომელთაც გააჩნიათ მრავალწლიანი გამოცდილება და კომპეტენცია ამ სფეროში მუშაობისა. მათ შეუძლიათ შექმნან ციტრუსოვანთა ნაყოფის, ხილის, კარტოფილის, თხილის, ხურმის და სხვა ნაყოფების დამკალიბრებლები, პრიმიტიული საშრობი კამერები და ა.შ.

- ✓ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საწარმოო პროგრამების განხორციელებისას ინოვაციური მიდგომის ერთ-ერთი მიმართულება უნდა გახდეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიების დანერგვა. როგორც მეცნიერული კვლევები და ეკონომიკური გათვლები ადასტურებენ, აჭარისათვის ერთ-ერთი ყველაზე რაციონალური გზაა მცირე მოცულობის, მაგრამ მრავალფეროვანი, ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.
- ✓ სერიოზული ინოვაციური მიდგომებია საჭირო მეცხოველეობაში. აქ ისტორიულად ჩამოყალიბდა სამთო მეცხოველეობა. პირუტყვი ნაკლებწონიანი და დაბალპროდუქტიულია, მაგრამ ადაპტირებულია ადგილობრივ პირობებთან, რელიეფთან, საკვებთან და კლიმატთან.
- ✓ სერიოზული რესურსებია ალპური მიწათმოქმედების განვითარებისათვის, მაგალითად, საზაფხულო იალაღებზე და საკურორტო ზონებში ფართოდ ვითარდება მეკარტოფილეობის, მებოსტნეობის და მარწყვის წარმოება. ამ შემთხვევაშიც რესურსები მხოლოდ ნაწილობრივ არის ათვისებული და მოკლებულია ინოვაციურ მიდგომებს.
- ✓ ერთ-ერთ ინოვაციურ მიდგომად უნდა განვიხილოთ ტურისტული ინდუსტრიის განვითარებასთან შესატყვისი ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავების დანერგვა.
- ✓ პროექტის განხორციელების პროცესში ჩატარებული მარკეტინგული კვლევების შედეგებმა ცხადყო, რომ ჯერ-ჯერობით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ვერ შეძლებენ მასშტაბური საწარმოო პოტენციალის ჩამოყალიბებას და შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფენ დივერსიფიკაციას თავისი პროდუქციისას დიდ საბაზრო სეგმენტებზე, თუმცა აუცილებელია ქვეყნის შიდა ბაზრის სეგმენტებისათვის ბრძოლა. ამ მიზნით შემუშავდა ქვეყნის დიდ დასახლებულ პუნქტებში და ქალაქებში კოოპერატივების მიერ საკუთარი სავაჭრო ქსელის შექმნის პროგრამა, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობებისა თუ მიწების შემენის ხელმისაწვდომობის გაფართოებას.

6. დასკვნა

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების პროცესში წარმოჩნდა ქვეყანაში საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ჩართულობის გაფართოების, იუსტიციის სახლებისა და ნოტარიუსების მომსახურების რეჟიმის გამარტივების, აგრეთვე სხვა აქტუალური პრობლემები. საქართველოს კანონის „კოოპერატივების“ შესახებ მიღებამ და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტიპური წესდების ნიმუშის შემუშავებამ კიდევ უფრო გააფართოვა ამ სფეროში ინოვაციური სიახლეების დანერგვის შესაძლებლობები.

მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების სასტარტო მდგომარეობა სუსტია როგორც მატერიალური, ისე ფინანსური ბაზის თვალსაზრისით, რამდენიმე წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნება მათი ქმედითუნარიანობის გაფართოება და ადაპტაცია საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობებისადმი. მთავარია თავიდანვე ორიენტაცია შემდეგი პრობლემების გადაჭრისკენ მიიმართოს:

- მოსახლეობაში პროდუქციის წარმოების თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიების ათვისებისა და დანერგვისადმი სტიმულირების გაზრდა;
- მიწების ექსტენსიური გამოყენების დონის შემცირება და ინტენსიფიკაციის გაფართოება თანამედროვე აგრო ტექნოლოგიების დანერგვით;
- საერთაშორისო პროექტებისა და შიდა სახელმწიფოებრივი მიზნობრივი პროგრამების რესურსების უპირატესი მიმართვა ჩამოყალიბებული კოოპერატივების საწარმოო პროგრამების განსახორციელებლად;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების პერსპექტიული მიმართულებებიდან გამომდინარე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში საჭირო კადრების მომზადების პროგრამების შემუშავება-განხორციელება;
- სოფლების ტერიტორიაზე არსებული რესურსების გამოყენებისადმი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მისაწვდომობის გაფართოება;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანამედროვე სახეობებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოო აღჭურვილობის დანერგვის ჯანსაღი პოლიტიკის გატარება;
- სხვადასხვა კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პარტნიორული ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის რაციონალური მოდელის ჩამოყალიბება და კოოპერაციული სისტემის ერთიანი ქსელის შექმნა.

აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აჭარაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებასა და მათ ინოვაციურ განვითარებას.